საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

02 აპრილი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №52/17

-- -- 2017 წლის 30 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №52/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 16 დეკემბერს, -- სააპელაციო სასამართლოში, -- -- მიერ გასაჩივრდა -- საქალაქო სასამართლოს მიერ მის ბინაზე მოხსნილი ყადაღა, რომლის განხილვა შეგნებულად ჭიანურდებოდა. 2017 წლის 19 მარტს ჩანიშნული იყო საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენით, რაზეც მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე მხარეთა მიერ გაიგზავნა მოსაზრებები და შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა მოსამართლის მიერ კიდევ ერთი თვის შემდგომ 2017 წლის 19 აპრილს მოხდა პროცესის ჩანიშვნა. საქმის განხილვის გაჭიანურების გამო მას ადგება მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან ვერ ახდენს საკუთარი ქონების რეალიზაციას. ამის თაობაზე, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მან მიმართა

მოსამართლეს აცილების თაობაზე. საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვისათვის გათვალისწინებული ვადის დარღვევისა და გაჭიანურების შესახებ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო -- -- (პ/ნ --) საკუთრებაში რიცხულ უძრავი ქონებას საკადასტრო კოდით №--, მდებარე მისამართზე: -- --, ქუჩა -- №-- (ყოფილი №--).

2016 წლის 4 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- და -- -- მიმართ, ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებაში აღრიცხვისა და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 მაისის განჩინებით, მხარეთა შუამდგომლობა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა და მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის 1.9. პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალებულებების სრულად შესრულებამდე, უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: -- --, ქუჩა -- №-- (ყოფილი №--), ს/კ -- - -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული ყადაღა დარჩა უცვლელი.

2016 წელს 11 ნოემბერს -- -- და -- -- განცხადებით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება გაასაჩივრა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 იანვრის განჩინებით -- -- მიერ წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საქმის ბარათით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- -- საქმე განსახილველად გადაეცა 2017 წლის 13 თებერვალს, სასამართლოს სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 19 აპრილს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების

მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

მოცემულ შემთხვევაში დისციპლინური საქმე შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით მიღებულ განჩინებაზე საჩივრის განხილვის ვადის დარღვევის საკითხს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1]-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

განსახილველ შემთხვევაში, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 13 თებერვალს, ხოლო საჩივარი განიხილა 2017 წლის 19 აპრილს. ამასთან, შესაბამისი განჩინება -- -- გაეგზავნა 2017 წლის 25 აპრილს.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ საჩივარი განიხილა 2 თვის ვადაში, ნაცვლად 20 დღისა. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა - 363 საქმე, დაასრულა - 295 საქმე (81%).

ამდენად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის და საქმის განხილვის ვადის მიხედვით მოსამართლე -- -- მხრიდან არ გამოიკვეთა საქმის განხილვის ბრალეული „გაჭიანურების“ ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 2 აპრილს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით,

სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №52/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი